



**3** პრეზენტაცია

**3** სერ ლუიშ  
მეროს გართის  
საზოგადოებრივი

**FRANCE**  
**Football**

ლუიშ ფიგუ ევროპის  
საუკეთესო ფეხბურთელია

**6**

მეტიუზიდან ფიგუმდე  
სოლომონ გულისავილი

**13**

თათრი  
ლაჟარი



საუკისის გუნდი:  
მადრიდის „რეალი“

**19**

რკ. ეს ჯიზე!



ფიგურ 2000 წლის  
მსოფლიოს საუკეთესო  
მოთამაშედ ზინედინ ზიდანი  
დაასახელა

**25**

საუკანონი საკითხი

პელე თუ მარადონა...  
ინებ დი სტეფანო?

**29**

გი სალამოს.  
ნაცვილარზე

თბილისის „დინობოს“  
პირველი თამაში ევროთასზე

**35**

არავითარი  
კოსეაზიკა

მისამილ სურბ ულაპა  
ესლიან მთვარი  
გადასი

სტადიონი ვაკეში:  
„პურუფლასტრიკა“ — „ლოკომოტივი“  
— „მიხეილ მესხი“

**38**

სევადასევა

**40**

ავთანდილ სვანიძე

ფარდაგი. ჩეარა!  
აერიკალი  
ლამაზანი

21-24 ვერდი

ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, იუვენტუსი) და  
ლუიშ ფიგუ (პორტუგალია, რეალი)

22-23 ვერდი

ლუიშ ფიგუ

გარეანგაზ


I-II ფიგურის 2000 წლის საუკეთესო  
ფეხბურთულ ლუიშ ფიგუ

III სიცინის ილიაშვილის  
პრიზისტებისას, მატერულად  
ტანიანისტების რუსი ალინ კაბაკვა

IV ფიგურის რჩეული ზინედინ ზიდანი

# 2001

## გილოცავი ახალ წელს!



REUTERS

რედაქტორი ილია გაგუაშვილი

რედაქტორის მოადგილე

სოსო კოტორენიშვილი

ტექნიკური რედაქტორი

დავით ნაღიაშვილი

ოპერატორი გაგლა ღორგაშვილი

მრჩეველთა საბჭო:  
ვახტანგ ბზეკაძე, სოლომონ

გულისაშვილი, ავთანდილ

გურაასაშვილი, ემზარ ზენაშვილი,

ზურაბ მეგებელია, ზურაბ ფოცხვრია

განები სარგილელის ლამაზანი

რეკლამა ურნალ «სარგილელი» — 93 16 08



# სეუ ლუიშ ოქსანი გურითის საზოგადოებრივი

**კავკა კაფია**

2000 წელს მხოლოდ 28 ივნისმა შეძლო მთი ერთად შეფრა. ეს ოთორი ხასქებით შემოსაზღვრულ იმ მწვანე ფართობზე მოხდა, ბრიუსელის „მეფე ბოლუენის“ ტრიბუნებს შორის რომ არის მოქცეული. ვეროპის ჩემპიონიატის ნახევარფფნალში საფრანგეთი პორტუგალიას ხვდებოდა.

ამ ერთადერთი შემთხვევის გარდა ლუიშ ფუგუსა და ზინედინ ზიდანის ხილვა „ფრანს ფულტბოლის“ რჩეულ ვეროპელ ფურნალისტებს სულ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქალაქებში, სხვადასხვა გარემოში მოუხდათ და როდესაც გამარჯვებოდნენ მარიზულ

ოფისში, ერთომეორეს მიყოლებულმა ფაქსებმა პასუხი გასცა წლის გოთხვას: კონტინენტის საუკთხეს ფეხბურთულია ლუიშ ფუგუ (პორტუგალია, მაღრიდის „რეალი“).

რიცხვები ასე დადადებენ: ფიგუ — 197 ქუდა, ზიდანი — 181 შემდეგ მოდან ანდრე შევჩენკო — 85, ტიერ ანრი — 57 და ასე შეძლევ. პირველ — მეორესა და დანარჩენებს შორის სხვაობა იმხელაა, რომ იმ დანარჩენებზე ლაპარაკიც არ ღირს.

ამრიგად, პირველი ფიგუ, მეორე ზიდანი. ზიდანი ფიგუს 16 ქულით ჩამორჩა.

28 ივნისს კი ზიდანმა გაიმარჯვა — საფრანგეთმა პორტუგალიას 2:1 მოუვო, ფინალში გავიდა და ჩემპიონი გახდა. იმ დღეს

ორივემ ჩინებულად ითამაშა, თუმცა სხვაობა მანც იყო, ვინმემ რომ იყოთხოს აბა, 2000 წელს ზიდანის განსაკუთრებულად ნათამაშევი გამახსენეთო, ეჭვი არა სწორედ პორტუგალიასთან შეხვედრას დაუსახელებთ. იმ თამაშის შთაბეჭდილებით ბევრს თავში ასეთი „მტრუხელური“ აზრიც კი მოუკიდა: ნუუ ფრანგთა დღევანდვლი მეათე ნომერი 80-ანი წლებისას ჩამოუკარდება? ანუ ზიდანი მიშედ პლატინის შეადარეს და გაუტოლება...

მაგრამ წელიწადი მხოლოდ 28 ივნისის საბაზო ხოდანმა გაიმარჯვა. წელიწადში 365 დღეა და ამ 365 დღის განმავლობაში პორტუგალიელმა ფრანგზე 16 ქულით უკეთ ითამაშა.



## ლეიზ ფიზუ

პოლონების აღმაშენებელი

დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს ლი-საბონში

თავდამსხმელი. სიმაღლე 181 სმ, წონა 78 კგ

კლუბები: სპორტინგი /1990-1995/, პარმა /1995 რამდენიმე დღე/, ბარსელონა /1995-2000/, რეალი (2000)

ნაკრებში თამაშობს 1991 წლიდან. 70 თამაში. 18 გოლი

# FRANCE Football

პოლონების აღმაშენებელი

ჩიზჩაბი

რა დაგიდგინათ თვალწინ ლეიზ ფიზუს სსენებისას? ალბათ, ნახევრდაცვის მარჯვენა ურთილი მოწინააღმდეგის საჯარიმოსკენ გაუარინილა ელვა ან რაღაც ამგვარი. არავის იცის, რა მიმართულება ამორჩევს ელვის ზიგზაგი, კიდევ უფრო მარჯვნივ წავა, შეისკენ გაუხვევს, ბოლომდე შეღწევას მოწიადინებს თუ სადმე გასროლაზე უსწრავესა და შეწყდება და მხოლოდ ბურთს გაგზავნის წინ, კარგი ან არატინიორის კერთი შექვედვით ეს თამაშის სახენტანური სტილია, მოლიანდ იმპროვიზაციაზე აგებულია, მაგრამ მოდით, უფრო დაკირქვებით შევისწავლით პორტუგალიური ზიგზაგი და მალევე დაგინახავთ, რომ მის კლაკნილში ფელაფერი უკიდურესად პრაქტიკულია, იძევნად პრაქტიკული, რომ წესით ფორმით სწორხახოვანი უნდა იყოს. იქნებ ვერც ვაოპოვოთ მომწნეტი, სადაც უბრალო მოქმედება

იყოს კველაზე შედევიანი, უფრეს კი მანი რთული რამის გაკეთება მოწიდინებინის.

ალბათ, ამიტომაცაა ლიდერი. ის მხოლოდ თამაშის დიზაინს კი არა, მის სტრუქტურას ქმითის.

### მოღალატე გურუშა

2000 წელი ლეიზ ფიზუს კარგად კა დაუსრულდა, მაგრამ მალიან რთული გამოიდგა. იყო სამ ეტაპი: „ბარსელონაში“ თამაშის, ეკროპის ჩემპიონატის და „რეალში“ თამაშის. და კიდევ იყო ერთი, „ბარსელონაში“ „რეალში“ გადასცლის ეტაპი, რომელიც ცხელ მიძინებულ ზაფხულში საქამარიდ მიღებული დასრულდა და ამიტომ ჩეკნ, ფეხბურთის მოსეირებმა, მოელი სიგრძე-სიგანით კერ აღვიქვთ, მაგრამ თავად ფიგურუსთვის ეჭვი არა ეტაპიც იყო და მეტიც ხომ იცით, ხშირად ერთი წამი მეტია ვიდრე ათი წელიწადი.

„ბარსელონაში“ და „ბარსელონასთვის“ რაც

იყო პორტუგალიელი, ნათელია. კაცმა რომელისას ძალიან ნაჭირიდან ძალიან დიდ უკანონობრივი სწორები იქ ჩამოყალიბდა, მაგრამ, ეტყობა, ვიღუც ან რაღაც აღარ მოუწონა, მერე ეს გრძელია — არ მოეწონადა, ვედარ აიტანაში გადაეზარდა და...

— ფეხბურთი ამ ბოლო დროს გახდა ბურჟუაზიული სახეობა, თირქებ თავიდნ ძალიან სახალხო იყო და ურთიერთობებიც მაშინ ჩამოყალიბდა — ცხადა ხალხური ტრადიციების და ურთიერთობების მიხედვთ. ამიტომაცა, რომ ძველ საფეხბურთო ქვეწუბში შემირად გადასწყდებით სამტროო გადაკიდებულ ორ გუნდს, ვიქეპათ, ქალაქის პროლეტარული და ცენტრალური უბნებისას, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „მანჩესტერ იუნიტედს“ ინგლისში ან „სპორტინგსა“ და „ბენფიკას“ პორტუგალიაში. ცხადია, ამ მტრობას ბურჟუაზი ვერაფრით გააღვივებდნენ, ის პორტუგალიად სახალხო მტრობაა.

ესპანეთში განსაკუთრებული შედეგი მაღლიდის „რეალსა“ და „ბარსელონას“ აქვთ, მაგრამ ეს შედეგი ეთნიკურია: მაღრიდი კასტილიანა ანუ პირველნიდა ესპანეთი, ბარსელონა კი კატალონი გახლავთ. დღეს ცხადია, მიღიონერ ბრაზილიელი, პორტუგალიელ, ჰოლანდიელ თუ არგენტინელ ფეხბურთელებს კასტილიურ-კატალონიური დავა ჩინუდად არ უდირთ, მაგრამ ათწლეულობით ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს იძლევთ უწევენ ანგარიშს და... „ბარსელონადნ“ „რეა-

ალში“ გადასული ფიგუ კატალონიაში მოდალატედ შერაცხეს.

დაბრეთ, რა ხდება: თავად მოთამაშისთვის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა მხოლოდ სამსახურის გამოცვლაა და მეტი არაფერი. კლუბის, ვინაიდნ გარიგზნ და ტრანსფერი შედგა, პაზნესზე მეტს ფიქრობენ ვიდრე ყველაფერ სხვაზე ხალხისთვის კი ფიგუ მიღდალატეა. როგორია?

და ასეთ ფინზე, ახალ გუნდში გადასული პორტუგალიერი ძალიან რისკვდა. ის შესაბამის „რეალს“ ვერც შეწყვობოდა ან შეეუბისთვის დადი ხანი აბჭირვებოდა, მაგრამ ასეთი პრობლემებისთვის მეტისმეტად დადი ფეხბურთელი გამოიდა.

დღეს ფიგუ „რეალის“ ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა და მარტო ამისთვის ეკუთვნილია საკეთოსო ფეხბურთელობა.

## სერია B

პორტუგალია თურმე ძალიან ჰგავს საქართველოს ლისაბონის უბნებში ჩაცუცჭული ბიჭები, რამე და რუმე ფიგუც იქურია ამ სიტყვის სრული გაგებით, მაგრამ რაც დრო გადას უფრო და უფრო ორგებს სმიგენს.

იმიტომ, რომ ფეხბურთი, როგორც მოგახსნეთ, ბურუჟუაზოული სპორტი გახდა, ბურუჟუაზას კი ცხოვრების თავისი წესები აქვს. ან აქეთ ხარ, ან იქოთ.

აა, მაგალითად, დიეგო მარადონა აქეთ დარჩა.

ფიგუ იქტოა. ცოლადაც შვედი ტოპ მოდელი ჰყვის, ოლონდ ახლა ნუ დავიწყებოთ გარჩევას ცოლაა თუ გელფრენდი. შვილი ჰყავთ, ოჯახად ცხოვრობენ და გელფრენდი უძახებ შენ.

მერე კი, თამაშს თავს რომ დაანებებს, ალათ, პატიცემული პორტუგალიერი სუუ ანუ სენორი გახდება და საფეხბურთო თუ სხვა პრეზენტაციებზე დიდად გამოწერილი ივლის.

ამასთან, ამბობენ, ძალიან მოკრძალებული და კეთილი ადამიანია.

## სერია B სეულველთათვის

დღეს, ფიგას კისტუმებიან ღონისძიებებზე ხშირად ვწერავთ პელესა და ფრანც ბექენბაუერს, ბობი ჩარლზონსა და მიშელ პლატინის. მერე გავა დრო, კოქათ, ასე, თუთმეტი წელიწადი და ასეთასევ წევულებზე ფიგუსა და ზიდნის ვინძლავთ. წწორედ მათ, 2000 წელს, 28 ივნისს, ერთადერთხელ რომ მოხვდნენ ერთსა და იმავე მოქადანზე, ახლახან კი საუკეთესო ფეხბურთელის გამოციხებუში პირველ-მეორე აღიაღებზე გავიდნენ და მოელი დანარჩენი ეპროპა საშინალად ჩამოიტოვეს.

ისე ნეტავ რა მოხდებოდა ხშირად, ძალიან ხშირად რომ ყოფილიყვნენ ერთსა და იმავე მოედანზე? ვგონებ, ეს დიდი ფეხბურთის, დიდი სანახაობის წინაპრობა იქნებოდა, მითუმეტს თუ ორივე ერთნაირ მასურას მოირგებდა ტანზე.

ნუ გაიკვირვებთ. ეს მხოლოდ მოსეირეს ცნებია, მაგრამ თუკი დიდი ვარსკვლავის „ბარსელონადან“ „რეალში“ გადასვლა შესაძლებელია...

ზიდნი რომ ფიგუს 16 ქულით ჩამორჩა იქნებ სწორედ იმის გამო მონდა, კლუბში სულ სხვანარად თამაშს რომ თხოვენ და ვინძლო უფრო შეზღუდულიცაა.

ზიდნის, რომ ესპანელი ცოლი ჰყავს და ტურინში ცხოვრებას კერ ეგუება, იქნებ ამან

მომავალში შეცვალოს რამე — ვთქათ, მათი ბინას მისამართი, ქლაქი, ქვეყნა.

ფიგუს კი გული არსად გაექცეს, დარჩეს იქ, სადაც მოერგო და მერე...

## ტასტი

მაგრამ ეს ხომ ოცნებაა და მეტი არავრო. სინამდვილეში ისინა ხომ წლეული ერთადერთხელ გადაეყარნებ ერთმანეთი, სხვა მხრივ კი ძალიან განსხვავებული ცხოვრებით იცხოვდეს და ამ ცხოვრების შედეგები „ფარანს ფეხბურთობა“ ახლახან, დეკემბრის მეორე ნახევარში გამოაცხადა:

„ოქტონ ბურთის“ დაურეგული გახდა ლუის ფიგუ „რეალის“ მდრიდის „რეალი“ — 197 ქულა.




ლუის ფიგუს ჯედო ტოპ-მოდელი მარტინი, მისი იმიჯილია

თუ ზენედინ ზილანგა მარტინის აზრს აგვარიში გაური, შესაძლოა როგორ ესახეობი გალასახლის



# ოქტომბერის გური 1956-2000



**1956**

## სტენლი მერი

(ინგლისი)

დაიბადა 1915 წლის 1 თებერვალს ჰენლიში. თავდამსხმელი. 174სმ. 70კგ

კლუბები: სტოკ სიტი (1930-42), ბლექბული (1974-61), სტოკ სიტი (1961-65)  
ნაკრებში თამაშობდა 1954-61 წლებში. 54 თამაში, 11 გოლი



**1957, 1959**

## ალფრედი

დი სტეპანი

(არგენტინა, კოლუმბია, ესპანეთი)

დაიბადა 1926 წლის 4 ივლისს ბუენოს აირესში. თავდამსხმელი. 174სმ. 76კგ

კლუბები: რივერ პლეიიტი (1942-44, 1946-49), ურაკანი (1945), მილონარიოსი (1949-53), რეალი (1953-64), ესპანიოლი (1964-66) არგენტინის ნაკრებში თამაშობდა 1947-48 წლებში. 7 თამაში, 7 გოლი. კოლუმბიის ნაკრებში 2 თამაში. გოლი არ გაუტანია ესპანეთის ნაკრებში თამაშობდა 1956-63 წლებში. 31 თამაში, 23 გოლი.



**1958**

## რამზენბე ძება

(საფრანგეთი)

დაიბადა 1931 წლის 13 ოქტომბერს ნეუ-ლეს-მინესში.

თავდამსხმელი. 170სმ. 68კგ

კლუბები: ანჟერსი (1949-51), რეიმსი (1951-56, 1959-64), რეალი (1956-59)

ნაკრებში თამაშობდა 1952-62 წლებში. 45 თამაში, 17 გოლი



**1960**

## ლემს სამარებე

(ესპანეთი)

დაიბადა 1935 წლის 2 მაისს ლა კორუნიაში.

ნახევარმცველი. 176სმ. 42კგ

კლუბები: დეპორტივო ლა კორუნია (1951-53), ბარსელონა (1953-61), ინტერი (1961-70), სამპდორია (1970-72)

ნაკრებში თამაშობდა 1957-72 წლებში. 31 თამაში, 13 გოლი



**1961**

## ფერ ხიდორი

(არგენტინა, იტალია)

დაიბადა 1935 წლის 2 ოქტომბერს სან ნიკოლასში.

თავდამსხმელი. 171სმ. 70კგ


კლუბები: რივერ პლეიიტი (1954-57), იუვენტუსი (1954-65), ნაპოლი (1965-69)

არგენტინის ნაკრებში თამაშობდა 1955-57 წლებში. 12 თამაში, 9 გოლი  
იტალიის ნაკრებში თამაშობდა 1961-62 წლებში. 9 თამაში, 8 გოლი






# ოქროს ბურთი 1956-2000



**1962**

## 09 გენერაცია მასტერული

(ჩეხოსლოვაკია)  
დაიბადა 1931 წლის 9 თებერვალს შტრიმიცეში.  
ნახევარმცველი. 171სმ.  
43კგ  
კლუბები: ვოდოტეხნუ ტეპლიცე (1950-52), დუკლა (1952-68), მოლენბეკი (1968-40)  
ნაკრებში თამაშობდა 1954-66 წლებში. 63 თამაში, 10 გოლი



**1963**


## ლევა იაზონი

(სარკი)  
დაიბადა 1929 წლის 22 ოქტომბერს მოსკოვში.  
გარდაიცვალა 1990 წლის 21 მარტს  
მეკარე. 187სმ. 82კგ  
კლუბი: დინამო (მოსკოვი)  
ნაკრებში თამაშობდა 1954-67 წლებში. 75 თამაში

**1964**

## დენი ლოუ


(შოტლანდია)  
დაიბადა 1940 წლის 24 თებერვალს აბერდინში.  
ნახევარმცველი. 176სმ. 69კგ  
კლუბები: ჰადერსფილდი (1956-60), მანჩესტერ სიტი (1960-61, 1973-74), ტორინო (1961-62), მანჩესტერ იუნაიტედი (1962-73)  
ნაკრებში თამაშობდა 1959-74 წლებში. 55 თამაში, 30 გოლი



**1965**

## ჯესები


(პორტუგალია)  
დაიბადა 1942 წლის 21 იანვარს ლურენცო მარკესში (მოზამბიკი).  
თავდამსხმელი. 175სმ.  
73კგ  
კლუბები: სპორტინგ კლუბ ლურენცო მარკეს (1957-60), ბენფიკა (1960-74), ბოსტონ მინიტმინი (1975), ტორონტო მეტროზ (1976), ბეირა მარი (1976-77, 1978-79), ლას ვეგას ელიტე (1977), უნიაუ დე ტომარი (1978-79)  
ნაკრებში თამაშობდა 1961-73 წლებში. 64 თამაში, 40 გოლი



**1966**

## ბრეტ ჩერლოუნი

(ინგლისი)  
დაიბადა 1937 წლის 11 ოქტომბერს ვაშინგტონში.  
თავდამსხმელი. 171სმ.  
68კგ  
კლუბები: მანჩესტერ იუნაიტედი (1953-73), პრესტონ ნორს ენდი (1973-75)  
ნაკრებში თამაშობდა 1958-70 წლებში. 106 თამაში, 49 გოლი





# ოქროს ბურთი 1956-2000



**1967**

## გლორიან ალბერტი

(უნგრეთი)

დაიბადა 1941 წლის 15 სექტემბერს  
პერცეგშენტორში.  
თავდამსხმელი. 181სმ.  
77კგ

კლუბი: ფერენცვაროში  
(1958-74)

ნაკრებში თამაშობდა 1959-  
75 წლებში. 75 თამაში, 31  
გოლი



**1968**

## კურა ბენტი

(ჩრდილო ირლანდია)

დაიბადა 1946 წლის 22

მაისს კრიგაფში.

თავდამსხმელი. 142სმ.  
64კგ

კლუბები: მანჩესტერ  
იუნიტედი (1963-75),  
სტოკბორტი (1975),  
ფულემი (1976-77). ლოს  
ანჯელეს აცტეკსი (1977-  
78), ფორტ ლაუდერდეილ  
სტრაიკერსი (1978-49),  
პიბერნიანი (1979-81), სან  
ხოსე ერს ქუიქსი (1980-81),  
გოლდენ ბეი (1982),  
ბორნმუთი (1983)

ნაკრებში თამაშობდა 1964-  
78 წლებში. 37 თამაში, 9  
გოლი

**1969**

## კანი რიბერი

(იტალია)

დაიბადა 1943 წლის 18 აგვისტოს ალესანდრიაში.

ნახევარმცველი. 1975სმ. 68კგ

კლუბები: ალესანდრია (1958-60), მილანი (1960-79)

ნაკრებში თამაშობდა 1962-74 წლებში. 60 თამაში, 14  
გოლი



**1970**

## ბერლ მიელმარი

(გვრ)

დაიბადა 1945 წლის 3 ნოემბერს ნიორდლინგენში.

თავდამსხმელი. 174სმ.

76კგ

კლუბები: ნიორდლინგენი  
(1962-64), ბაიერნი (1964-  
78), ფორტ ლაუდერდეილ  
სტრაიკერსი (1979-81)

ნაკრებში თამაშობდა 1966-  
74 წლებში. 62 თამაში, 68  
გოლი



**1971, 1973,  
1974**

## მოჰან მრ უზემ

(პოლანდია)

დაიბადა 1947 წლის 25

აპრილს ამსტერდამში.

თავდამსხმელი. 176სმ.  
67კგ

კლუბები: აიაქსი(1964-73,  
1981-83), ბარსელონა  
(1973-78), ლოს ანჯელეს  
აცტეკი (1979),  
ვაშინგტონ დიპლომატზი  
(1980-81), ლევანტი (1981),  
ფეინორდი (1983-84)  
ნაკრებში თამაშობდა 1966-  
77 წლებში. 48 თამაში, 34  
გოლი





# ოქროს ბურთი 1956-2000



## 1972. 1976

### ვრაშვილი

#### ბერებაძე გერამი

(გვრ)

დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს მიუნხენში. მცხოვრი. 182სმ. 77 კგ  
კლუბები: ბაიირნი (1955-77), კოსმოსი (1977-80, 1983), ჰამბურგი (1980-82)  
ნაკრებში თამაშობდა 1965-77 ნლებში. 103 თამაში, 14 გოლი



## 1977

### ალაძე

#### ხემიშემელი

(დანია)

დაიბადა 1952 წლის 15 დეკემბერს ვეილეში. თავდამსხმელი. 168სმ. 57 კგ  
კლუბები: ვეილე (1970-72), ბორუსია მიონიხენგლადბახი (1973-79), ბარლეონი (1979-82), ჩარლტონ ატლეტიკი (1982-83), კარლ (1983-86)  
ნაკრებში თამაშობდა 1972-86 ნლებში. 56 თამაში, 21 გოლი



## 1975

### ოლეგი

#### ბარუხიძე

(სსრკ)

დაიბადა 1952 წლის 5 ნოემბერს კიევში.  
თავდამსხმელი. 183სმ. 79 კგ  
კლუბები: დინამო კიევი (1970-87), ფორვორტს შტეინი (1987-89)  
ნაკრებში თამაშობდა 1972-88 ნლებში. 109 თამაში, 39 გოლი


## 1980. 1981

### ძეგლია-ჭავჭავაძე

#### რუსენბაუერ

(გვრ)

დაიბადა 1955 წლის 25 სექტემბერს ლიპშტადტში.  
თავდამსხმელი. 182სმ. 78 კგ  
კლუბები: ბორუსია ლიპშტადტი (1972-74), ბაიირნი (1974-84), ინტერი (1984-87), სერვეტი (1987-89)  
ნაკრებში თამაშობდა 1976-86 ნლებში. 95 თამაში, 45 გოლი




## 1978. 1979

### კაზანი


#### გოგაძე

(ინგლისი)

დაიბადა 1951 წლის 14 იანვარს დენკასტერში.  
თავდამსხმელი. 168სმ. 67 კგ  
კლუბები: შანთიროპ იუნატედი (1966-71), ლავერპული (1971-77), ჰამბურგი (1977-80), საუთჰემპტონი (1980-82), ნიუკასლი (1982-84)  
ნაკრებში თამაშობდა 1973-82 ნლებში. 63 თამაში, 21 გოლი



# ოქროს ბურთი 1956-2000



**1982**

## პატრიკ რობერტი

(იტალია)  
დაიბადა 1956 ნოემბერი 23.  
სექტემბერს პრატოში.  
თავდამსხმელი. 174სმ,  
66კგ

კლუბები: იუვენტუსი  
(1972-75, 1981-85), კომი  
(1975-76), ვიჩინცა (1976-  
79), პერუჯა (1979-80),  
მილანი (1985-86), ვერონა  
(1986-87)

ნაკრებში თამაშობდა 1977-  
86 წლებში. 48 თამაში, 20  
გოლი




**1987**

## რეუზ ბერნარდი

(პოლანდია)  
დაიბადა 1962 ნოემბერი 1.  
სექტემბერს ამსტერდამში.  
თავდამსხმელი. 186სმ,  
83კგ

კლუბები: ამსტერდამი  
(1978-79), პარლემი (1979-  
82), ფეიენორდი (1980-  
82), ეინდჰოვენი (1985-87),  
მილანი (1987-93, 94),  
სამპდორია (1993-95),  
ჩელინი (1995-96)

ნაკრებში თამაშობდა 1981-  
94 წლებში. 66 თამაში, 16  
გოლი



**1983, 1984,  
1985**

## პატრიკ პლატილი

(საფრანგეთი)  
დაიბადა 1955 ნოემბერი 21.  
ივნისს უოეფში.

ნახევარმცველი. 177სმ,  
73კგ

კლუბები: ნანსი(1970-79),  
სენტ ეტიენი (1979-82),  
იუვენტუსი (1982-87)  
ნაკრებში თამაშობდა 1976-  
87 წლებში. 72 თამაში, 41  
გოლი



**1988, 1989,  
1992**

## პატ ბაბუაზეი

(პოლანდია)  
დაიბადა 1964 ნოემბერი 31.  
ოქტომბერს უტრეხტში.  
თავდამსხმელი. 188სმ,  
80კგ

კლუბები: აიაქსი (1981-87),  
მილანი (1987-95)  
ნაკრებში თამაშობდა 1983-  
92 წლებში. 58 თამაში, 24  
გოლი



**1986**

## ბრონისტო

(სსრკ)  
დაიბადა 1960 ნოემბერი 25 სექტემბერს  
ოდესაში.

თავდამსხმელი. 174სმ, 70კგ

კლუბები: სკა ოდესა (1978-80),  
ჩერნომორეცი (1981-84), დინამო  
კიევი (1985-89), ბორუსია  
მინენენგლადბახი (1989-91),  
აინტრახტ ბრაუნშვაიგი (1991-92)  
ნაკრებში თამაშობდა 1985-90  
წლებში. 33 თამაში, 8 გოლი



**1990**

## ლეონარდ ბარაზი

(გერმანია)  
დაიბადა 1961 ნოემბერი 21.  
მარტს ერლანგენში.  
ნახევარმცველი. 177სმ,  
75კგ

კლუბები: ბორუსია  
ბონენენგლადბახი (1979-  
84), ბაიერნი (1984-88,  
1992-2000), ინტერი (1988-  
92), ნიუ ჯერსი  
გეტროსტარზი (2000)  
ნაკრებში თამაშობდა 1980-  
2000 წლებში. 150 თამაში,  
23 გოლი



# ოქროს ბართი 1956-2000



**1991**

## შენ პიმრ პაპენი

(საფრანგეთი)  
დაიბადა 1963 წლის 5 ნოემბერს ბულონ-სურ-მერში  
თავდამსხმელი. 177სმ.  
78კგ  
კლუბები: ვიში (1981-84),  
ვალენსიენი (1984-85),  
ბრიუგე (1985-86), მარსელი  
(1986-92), მილანი (1992-  
94), ბაიერნი (1994-96),  
ბორდო (1996-98)  
ნაკრებში თამაშობდა 1986-  
95 წლებში. 54 თამაში, 30  
გოლი



**1995**

## კლიჩი ჯე

(ლიბერია)  
დაიბადა 1966 წლის 1 ოქტომბერს მონროვიაში  
თავდამსხმელი. 185სმ.  
82კგ  
კლუბები: იანგ  
სურვაივორზი (1981-84),  
ბონგრანდი (1984-85),  
მაითი ბერლინი (1985-86),  
ინციზოლ ილევენ (1986-  
87), ტონირ იაუნდე (1987-  
88), მონაკი (1988-92),  
პარისენ ჟერმენი (1992-95),  
მილანი (1995-1999), ჩელსი  
(1999), მანჩესტერ სიტი  
(2000), მარსელი (2000)  
ნაკრებში თამაშობს 1984  
წლიდან. 42 თამაში, 7 გოლი



**1993**

## რობერტი გაჭი

(იტალია)  
დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს კალდანიოში  
თავდამსხმელი. 174სმ.  
73კგ  
კლუბები: ვიჩენცა (1981-  
85), ფიორენტინა (1985-90),  
იუვენტუსი (1990-95),  
მილანი (1995-97), ბოლონია  
(1997-98), ინტერი (1998-  
2000), ბრეშა (2000)  
ნაკრებში თამაშობს 1988  
წლიდან. 55 თამაში, 27  
გოლი



**1996**

## გამიახ ჭავერი

(გერმანია)  
დაიბადა 1967 წლის 5 სექტემბერს დრეზდენში  
ნახევარმცველი. 182სმ.  
79კგ  
კლუბები: დინამო  
დრეზდენი (1985-90),  
შტუტგარტი (1990-92),  
ინტერი (1992-93), ბორუსია  
დორტმუნდი (1993-97)  
გდრ-ის ნაკრებში ითამაშა  
23-ჯერ. 6 გოლი  
გერმანიის ნაკრებში  
თამაშობდა 1990-97  
წლებში. 51 თამაში, 8 გოლი



**1994**

## ხრისტი სტრიჩიშვილი

(ბულგართი)  
დაიბადა 1966 წლის 8 თებერვალს პლოვდივში.  
თავდამსხმელი. 178სმ.  
75კგ  
კლუბები: მარიცა (1976-  
81), ზაგორ იური გაგარინ  
(1981-82), USM (1982-  
ზაფხული), პეტროსი (1982-  
84), ცსკა (1984-90, 1998),  
ბარსელონა (1990-95, 1996-  
98), ბართა (1995-96), ალ  
ნასრი (1998), კაშივა  
რეისოლი (1998-99), ჩიკაგო  
ფაიერზი (2000)  
ნაკრებში თამაშობდა 1987-  
99 წლებში. 83 თამაში, 37  
გოლი

© 2000 საქართველოს ფედერაცია



# ოქროს ბურთი 1956-2000



**1997**

## რომელი დანართი

(ბრაზილია)  
დაიბადა 1976  
წლის 22 სექტემბერს  
ბერტო  
რიბეიროში.  
თავდამსხმელი.  
183 სმ. 82 კგ  
კლუბები: სოსიალ  
რამოს კლუბ  
(1990-91), სან  
კრისტივალ  
(1991-93),  
კრუზეირო (1993-  
94), პეს  
ეინდივენი  
(1994-96),  
ბარსელონა  
(1996-97),  
ინტერი (1997-  
დღემდე)  
ნაკრები  
თამაშობს 1994  
წლიდან 54  
თამაში, 36 გოლი

**1999**

## რომელი დანართი

(ბრაზილია)  
დაიბადა 1974 წლის 19 აპრილს რესიფეში.  
თავდამსხმელი. 186 სმ. 75 კგ  
კლუბები: პაულისტა (1989-90), სანტა კრუზი (1991), მოგი  
— მირინი (1992), კორინტიანისი (1993), პალმეირასი  
(1994-96), დეპორტივო ლა კორუნია (1996-97),  
ბარსელონა (1997-დღემდე)  
ნაკრები თამაშობს 1993 წლიდან. 51 თამაში, 25 გოლი



**1998**

## ზონედინ ზედამი

(საფრანგეთი)  
დაიბადა 1972  
წლის 23 ივნისს  
მარსელში.  
ნახევარმცველი.  
185 სმ. 80 კგ  
კლუბები: კანი  
(1988-92),  
ბორდო (1991-  
96), იუვენტუსი  
(1996-დღემდე)  
ნაკრები  
თამაშობს 1994  
წლიდან. 62  
თამაში, 16 გოლი



# თემის კიბულისტიკი

## ისეანდი, მეფე-მეფე, ცხრვნდი უკანისაძე!



სოლომონ გულისავილი

ამ ზამთარს ფიფამ დიდი გამოყითხვები მოაწყო და რამდენიმე ხომინაცაში საუკუნის საუკეთესონი გამოავლინა. ერთს ბუტიანისა და დავიდარაბა მოაწყო, მეორეს ეჭვით შეხედეს. ერთადერთი, რომელსაც ყველა დაეთანხმა მაღრიდის „რეალის“ საუკუნის საკლუბო გუნდად დასახელება იყო — მეფე-გუნდა თავისი მიღება, ისინი მეფეთ-მეფენა გახდნენ.

„რეალ“ ესპანურად „მეფენის“ ნიშავრს. მისი დაბადება 1902 წლის მარტში, ესპანეთის ტახტზე ბურბონების დასასტიის გამჭრელებლის, მეფე ალფონს XIII ასვალს დაემთხვა და ეს იდდგვაროვნობაც თითქოს თავიდანვე დამყავა დღევანდელ პრიმერადივიზიონში კიდევ ხუთი გუნდია, სახელწოდებაში „რეალ“ რომ ურუგვა: „მადონა კა“, „ოვიედი“, „სისიედადი“, „გალიადოლიდი“ და „სარაგოსა“, მაგრამ, აა, ამათი ჩამოთვლისას „რეალი“ ვის გაახსენდება. რატომ? იმიტომ, რომ „რეალ მადრიდი“ თვითონ განდა მეფე არა მარტი ესპანეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ჩემპიონთა თასის რეკარდერ მომგებს განა სხვა ეპითეტი ეკადრება?

„რეალის“ ქომაგი არასოდეს ყვითელვარ, მაგრამ მასზე როგორც ყველა პატიოსანი ფეხბურთის მოკარული, ყოველთვის განსაკუთრებული მოწინებით გასუბრობდა. იმიტომ, რომ „რეალი“ არ არის მხოლოდ გუნდი ამ კლუბი, ის გადალებით მეტია.

ბავშვობაში, 70-იანი წლების ბოლოს, ერთხელ ბიჭებმა ეზოს გუნდის შექმნა გადავწყვიტეთ და უფროსებს დავკითხეთ რომელი სახელი აკობებდა „რეალი“ — გვიასუხა თითქმის ყველად. მაშინ ფეხბურთის ისტორიისა ბევრი არაფერი ვიცოდით ჩვენი გმირები ჟულიერპულის „ფეხბურთელები იყვნენ: ფილ ნილი, რიკ კენედი, კენ დალკლიმზე მაგრამ უფროსებს დავკითხეთ და მაისურების საყიდლად წავდით. პეკინშე, იქ სადაც ახლა „დეუს“ ელექტრენიკა იყო-

დება, სპორტული მაღაზია „შევარდენი“ იყო. მივედით და თეორია მაისურები რომ არ ჰქონდა, ყვითლები ვიყიდეთ. მერე ერთის უფროსმა შემატ პასტით წაგვაწერა — REAL.

ღამე ამ მაისურათი დავიძინები თავი დედამიწაზე ბეჭნიერი მეგონა — მე რომ ნამდვილი რეალელი ვიყვავი...

მერე, რამდენიმე წელიწადში, უფრო ზუსტად 1981 წლის მარტში მაღრიდელები თბილისში ჩამოვიდნენ, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში მოსავისი „სპარტაკონ“ სათამაშო, „სპარტაკში“ მაშინ მები მაჩაოძებილი თამაშობდნენ, ოქთ კვირის თავზე „რეალმა“ 2:0 მოუგო „სპარტაკს“ — იმ წელი თასის ფინალშიც გავიდა, მაგრამ „ლოკომოტივს“ ვერ გაუმკლავდა.

მეორე დღეს „დინამოს“ სტადიონი გაიკვით. მატჩი უგოლოდ დამთავრდა, მაგრამ მაღრიდელთა თამაშით დიდად ვისამოვნეთ. რომ არა მეგარე დასაუვი, მოსკოველები ნამდვილი წაგებდნენ. ორი კვირის თავზე „რეალმა“ 2:0 მოუგო „სპარტაკს“ — იმ წელი თასის ფინალშიც გავიდა, მაგრამ „ლოკომოტივს“ ვერ გაუმკლავდა.

### მადრიდის «რეალი»

დაარსდა 1902 წლის 9 მარტს  
სტადიონი „სანტიაგო ბერნადეუ“ /90 200 ადგილი/

პეტჩიდენტი: ფულორნენტინო პერესი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ესპანეთის ჩემპიონი: (27) 1932, 33, 54, 55, 57, 58, 61, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 72, 75, 76, 78, 80, 86, 87, 88, 89, 90, 95, 97

თასის მფლობელი: (17) 1905, 06, 07, 08, 17, 34, 36, 46, 47, 62, 70, 74, 75, 80, 82, 89, 93

ჩემპიონთა თასის მფლობელი: (8) 1956, 57, 58, 59, 60, 66, 98, 2000

უფას თასის მფლობელი: (2) 1985, 86

საკონტინენტო შორისო თასის მფლობელი: (2) 1960, 98





„რუსი“ 1960 წლის მარცხნილას დგანა: ფომინგასი, მარკიტოსი, სანჩაბარისა, პაზინი, ვილალი, სარავა, მცველისელი მანიოსი, სხელა: ჩარალი, დელ სოლი, დი სტაფანი, კაშაში, ხენტი

ჩამოთვლილ ვარსკვდავებს ორ-სამ წელიწადში მიჩილი, ბუტრავენი და არგენტინული ვალდანი დაქმატნებ. 1985-86 წლებში „რეალმა“ ზედიზედ ორჯერ მოიგო უცფას თასი. „რეალ“ — „ვიდეოტინისა“ და „რეალ“ — „კიოლნის“ ფინანსებს პანტიანში ჰქონია ანგარიშით შეასრულებული ლამის მთელი თბილისა უფრესებდა.

მაგრამ ის, რასთვისაც „რეალ“ საუკუნის გუნდად აღიარეს, მანამდე 30 წლით აღრე დაიწყო...

„მე არ მოვკვდები, იცოცხლებენ საქმენი ჩემინ“ — კვინტუს ჰორაციუს ფლაკესის, ძეველი რომაელი ლირიკოსის ეს სიტყვები სწორედაც რომ სანტიაგო ბერნაბეუს მიესადაგდა.

თუ ჩემპიონთა თასის არსებობის პირველ წლებში რომანტიკას მოვძებნით, ეს უშუალ არისტოკრატია და მეფეთა, ანუ მაღრიბის „რეალის“ რომანტიკა იქნება მეცვე? რასაკვირველა, ის ალფრედი დი სტეფანი იყო — კაცი არა ერობელი, კაცი ოკეანის გაღმელი. თუ იმპრატორს მოიგოთხათ, ის უცალობლივ სანტიაგო ბერნაბეუ იქნება — „რეალის“ სულის ჩამდგმელი და მამა.

მით საკვირველი ენერგიისა და მონდომების გარეშე, გარეთვე (ჩურჩულით ვთქვათ) ფრანკოს რეჟიმის დაუხმარებლად, „რეალი“ ისეთი ვერ გახდებოდა, როგორსაც დღეს ვიცნობთ.

არანსისათ ხენტო - ერთადერთი ფასარითალი, რომელმაც ჩვევილია თასი ეჭვარ მოიკოვა





80-იანი ნოტების  
გვირი ემილიო ბუტრაგენიო

სანტაგო ბერნაბეუ დიდი კაცი განდღათ. არც მაღავდა, რომ მისი ოცნება ევროლიგის შექმნა იყო. ჩემპიონთა თასის ტურნირს კარგ დავინოს ადრიებდა, რომელისგანაც საუკეთესოს გამოყვანა შეიძლება. თუმცა, დევნელელთაგან განსხვავდით, მისთვის ფული მთავარი არ იყო" — წერს ცნობილი ინგლისელი ურნალისტებრივი ბრაიან გლონვილი.

1943 წელს „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი ფერნანდო სანტაგო ბერნაბეუ დე იუსტე კლუბის პრეზიდენტი გახდა. კლუბისა, რომელსაც მიხანდ არ ულინდა. მივიდა და დაიწყო... თუ წელი წელიადში ახალი სტადიონი, „სანტაგო ბერნაბეუ“ აშენდა. კლუბიც წელ-წელა წელში გამართო.

დღინ ბერნაბეუ თანაუმშეს, რამდნო საპორტას დაავალა ქვეშენი შემოევლო და საუკეთესო ფეხბურთელები მაღრიდში ჩაეფანა. ბერნაბეუს ისეთი გუნდის შექმნა სურდა, რომელიც თავისი თამაშით ათასასობით ადამიანს მიიზიდვად და უდიდეს სტადიონებსაც კი შეავსებდა. დახლოებით ათ წელიწადში სასწული მოხდა, 50-ანის ბოლოსკენ ასეთი გუნდი მართლაც დაიბადა.

„მთავარი, რაც „რეალს“ ევროპის საუკებელებურთო სცენაზე გამოარჩევა, განდურობის გრძნობა იყო, რაც ცალკულურ რელიების პრომონიულ შერწყმაში კლინდებოდა. დი სტეფანის გენია ფრთხებს ასხამდა თანაგუნდელებს და ყველაზე დარამატულ მიმეტებშიც კი გუნდს სურანებდა“ — წერს იტალიელი ურნალისტი ანჯელო რიოველი.

დი სტეფანი, მუნიოსი, ხენტი, კოპა, პუშაში... 1956-60 წლების „რეალი“, ჩემპიონთა თასის ზედიზედ ხუთჯერ მომებები, თანდათან ისტორიაში ჩადნა და მოთავ გადაიქცა... ახლა, როცა მაშნდელი ფეხბურთის გა-

ცრეცილ, შავ-თეთრ კადრებს ვუცემო, განსაკუთრებულს თითქოს კვამუურს ვხედავთ — მოედანზე უმრავი ცარიელი აღგილებადა არც ტემპით მაღალი, მაგრამ ნიჭია, ზოგჯერ ისეთ სულისშემუტოველ ფინტებს თუ გოლებს ეხედავთ, წარმოდგენაც რომ გავიჭრილდებოდა.

თქმა იმისა, დღვენდელი ფეხბურთი სჯობს მცვლის, უცანურიც არს და საკამაოცაა, გაისხენი, როგორ სისტრუმენტებზე უკრავდა 60-იანის დასაწყისში „ბიოლზი“. იქნებ სასაცილოდაც არ გვეყი, მაგრამ ნუ-თუ ამით ოდნავ მაინც იმრდილება ჯონ ლენონის გენიალურობა? ალბათ არა.

თავის დროზე უნგრეთიდან გაქცეული და კარგა ხნის უთამშექტლი ჟუშაში „რეალში“ რომ მივიდა, უორმის აღსაღებენად ნახევარი წელი მისცეს. დღეს ამ ამბავს ორი-სამი კვირა თუ დასჭირდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშავა, რომ კოქათ მორიგნტესი ჟუშაშე ძლიერია... აიტომაც გაუძლო იმ „რეალმა“ ათწლეულებს და რაც დრო გავა, კიდევ უფრო დიდ და მითიური გახდება. ანუ, როგორც ურანგი მწერალი ანდრე მორუა წერს თავის ესეში: „პრესტი და ფლობერი ერთმანეთს ეთანხმებიან, რომ ერგადეთი რეალური საქართველოში ხელოვნების სამყარო და ერთადერთი ნამდვილი სამოთხე არის ის რიმელიც დაგარგვია“. ნიჭი და ხელოვნება მართლურია.

ამბობენ, და სტეფანოს გარეშე „რეალი“ მოპოვებული პრიზების ნახევარსაც ვერ შესწოდებიდა. ქვედა თაობის ბერი აღმანისითვის ის კვლავაც ყველა დროის საკეთებელი ფეხბურთელად ჩენა. არგენტინაში დაიბადა, პირველი გაკვეთილები კოლუმბიის არეულ-დარუელ ჩემპიონატში მიღლო, ხოლო მაღრიდში გადაბარგების შემდეგ უდიდეს მითამაშედ იქცა.

დი სტეფანო ცნობრალური თავდამსმელი იყო, მაგრამ მოედნის ყველა მონაცემთში მოკრავდით თვალს იმ დროს, როცა ფეხბურთელები დაგალიბებული აღგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ და სტეფანიმ თავისებური რევოლუცია მისახდისა და პოლანდიურ წერტალურ ფეხბურთის“ მთელი თუთმეტი წლით გაუსწრო.

დი სტეფანო საუკეთესო განლდათ ჩემპიონთა თასის პირველ წერ ფინალში. „რეალისთვის“ ის მთავარი იყო მინდოოზე და მის გარეთაც. ამბობენ, როცა მაღრიდულ კლუბს ბრაზილიელ პლეიმეიტერ დიდისთვის გაუფორმება კონტრაქტი, დი სტეფანო მას ცივდ შეხვდრა და უთქმას თუ გაზეობებს დავუკერებთ, ჩემს შესაცელებლად ჩამოსულხარ მაგრამ გავიწყდება, რომ უკვე ბეტერი ხარ და მაინცდამანც არც კარგი თამაშით გამოირჩევით დიდი მწერალში“ ფეხი ეკვი მოიციდა...


ფეხი ეკვი ჟუშაში და სტეფანოს დიდალური პარტნიორი გამოიდარება. მაღამ მის ფანტასტიკური მარცხენაც ამუშავდა და გოლების მანქანად გადაიქცა.

1960 წლის 18 მაისს გლობურს „პენდერ პარკში“ „რეალი“ — „აინტრახტის“ ჩემპი-

## ბერნალი

- არტურ ჯონსონი /ინგლისი / 1910-20
- ხუანიტო კარსერი / 1920-25
- პედრო ლორენცე — სანტიაგო ბერნალი 1925-27
- ხოსე ახელ ბერნალი 1927-29
- ხოსე კირანტე 1929-30
- ლივი პერც /უნგრეთი / 1930-32
- პედრო ლორენცე — სანტიაგო ბერნალი 1932
- რობერტ ფირთი /ინგლისი / 1932-33
- პაკ ბრუ 1934-41
- ხუანიტო არმეტი 1941-43
- რამინ ენსიანის 1943-45
- პაბლო ერნანდეს კორონადო 1945
- ხასიათი კინსონესი 1945-46
- ბართაზარ ალბენის 1946-48
- მაიკლ კიბინგი /ინგლისი / 1948-50
- ექტორ სკარონე /ურუგვაი / 1951-52
- ხუან ანტონიო იანისი 1952-53
- ერნიკე ფერნანდესი /ურუგვაი / 1953-55
- ხოსე ვილიალონგა 1955-57
- ლუის კარნილია /არგენტინა / 1957-59
- მანუელ ულიტასი /ბრაზილია / 1959-60
- მიგელ მუნიოსი 1960-74
- ლუის მოლოვნი 1974
- მილიან მილიანიში /იუგოსლავია / 1974-77
- ლუის მოლოვნი 1977-79
- უადიდი ბოშევი /იუგოსლავია / 1979-82
- ლუის მოლოვნი 1982
- ალფრედო დი სტეფანი / 1982-83
- ამარი ამანისი 1983-84
- ლუის მოლოვნი 1984-86
- ლუი ბენგაკერი /პოლანდია / 1986-89
- ჯონ ტოშავი /უელსი / 1989-90
- ალფრედო დი სტეფანი — ხოსე ანტონიო კამინი 1990-91
- რადომირ ანტიტი /იუგოსლავია / 1991-92
- ლუი ბენგაკერი /პოლანდია / 1992
- ბენოტ ფერნანდო /ჩილე / 1992-94
- ვისტონტი დელ ბოსკე 1994
- ხონბე ვალდადი /ირგენინა / 1994-96
- არენიო იგლესიანი 1996
- ფაბრი გაულო /იტალია / 1996-97
- იუპ პაინესი /გერმანია / 1997-98
- ხოსე ანტონიო კამინი 1998
- გუს პიდინკი /პოლანდია / 1998-99
- ჯონ ტოშავი /უელსი / 1999
- ვისტონტი დელ ბოსკე 1999-

ბალდი რეალური,  
პისენტე ლელ ბოსკე



REUTERS

## პრეზიდენტები



ხულიან ბალაშიოსი 1902



ხუნ პადროსი 1902-04



გარლოს პადროსი 1904-08



ადოლფო მელენდესი  
1908-16 და 1939-40



პედრო პარაგესი  
1916-24 და 1941-43



ლუის დე ურკახო  
1924-29



ლუის შენერა 1929-33



ანტონიო სანტის პერალბა  
1933-34



რაფაელ სანჩეს გერა  
1934-36



სანტიაგო ბერნაბეუ 1943-78



ლუის დე კარლოსი 1978-85



რამინ მენდოსა 1985-95



ლორენცო სანსი 1995-2000



ფლორენტინო პერესი 2000-

ონთა თასის ფინალის საცეკვებლად 128 წევა და ადამიანი შეიცრია. ამ ათვოლიან სუსტარებულებას უს უსრალისტები ჭყველა დროის ჭყველა ზე დადგებულ შესველრად ნაოლავნ. „რეალმა“ 7:3 მოიგო. ოთხი ჰუმანუმში გაიტანა, სამი და სტეფანომ.

ამ თამაშში „რეალმა“ მიგედ მუნიცის წევრონიდა. კაცი, რომელისაც 1956 წელს გუნდის კაბინტის სამელაური ეკთა და პირველი ჩემპიონთა თასიც ასწა. იმავე წელს „რეალმა“ საკონტინეტო მორისის თასიც მოიგო. მუნიცის გუნდს 15 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა, რაც კლუბის რეკორდია.

გლუზგოში კი საუკუნის შედევრი შეიქმნა. ვენეციის თოვიმსინიველებს. ბრაიან გლუზგოვილი: „აღბათ, ეს დღე სანტიაგო ბერნაბეუს ცხოვრებაში კველაზე ბედნიერი იყო. შეტანიელები კინაღამ გაგიუდნენ. იქაურებს ესპანელები გულზე არ ენატებოდათ, მაგრამ გაოცებულები ფეხზე ადგნენ და ისე გაცილეს მაღრიდელები.“


იმ საღამოს გლაზგოში სტადიოზე მცენავებდ, უდავოდ, ეს ჩემი ცხოვრების დაუკავშირი იყო“.

„რეალი“ უკვე მაშინ ყალბიდებოდა ისეთად, დღეს რომ სუპერკლუბს უწოდებენ. თავისი სტრუქტურით, მენტალობეტითა და ლეგიონერების სიუხვით. თუმცა, მაშინ მათი უმრავესობა უცხოელად არ ითვლებოდა. „ანტრახტონ“ მაღრიდელებისა ხეთი არაესანელი ათამაშეს: არგენტინული მცკრე რონელიო დომინებს, ურუგვაელი ცენტრალური მცველი ხოსე სანტამარია, ბრაზილიელი მარკენა გარებარი კანარიო, არგენტინული და სტეფანი (რომელიც ამ დროს უკვე ესანქონის ნაკრებში ათამაშიდა) და უნგრელი პუშკაში, რომელმაც მაღლე ასევე ესანქონის ეროვნული გუნდის მასიურა მოირგო.

უცხოელები უცხოელებად და გასაკვირი არ არის, რომ მაშინ მაღრიდელთა ერთორი უსაყვარესი მოამაძეს „თავისიანი“ ფრანსისეკო ხენტო იყო. ფეხბარები მარცხენა გარემარბი. სანტანდერტოან ახლოს, გუარანისებით დაბადებული ბიჭი ეცრობაში ერთადერთია, ვისაც ჩემპიონთა თასი ექვსჯერ მოუვა და კიდევ როცერ ფინანში დამარცხებულა. ხენტო 100 მეტრის 11 წამში გარბოდა და თანავუნდელოთავის სუუკოუს პარტნიორი იყო.

ამ, რას ივონებს გფრ-ის ნაკრებისა და „მილანის“ ლეგენდარული მცველი კარლ-პაიონ შელინგერი: „არასდროს დამამაწყდება რა დამმართა „სან-სიროზე“. ეს იყო ყველაზე უჩვეულო მატჩი ჩემს კარიერაში ხენტო ჩემსკენ დაიძრა, ჩანაფიქრის გამოცნობა დაუპირე, მაგრამ ერთი მორბაბით ზურგს უკავ მომექცა. გავეკიდე, მაგრამ უცებ გაჩერდა, ისევ მომტყუა და შეტევა გააგრძელება. თავტუდმოგლელე დავდევნებ, მაგრამ დახუთ, ისევ გაჩერდა და ისევ გამაცურა... კინაღი გაუგიდდ, თავი უპატრინო ძაღლის ლეგვად წარმოვიდგინებ ტრიბუნებზე ხარხარი ატყება. როცა შეტევა დამთავრდა მოვიდა და აღალად გამიღიმა, თითქოს მომზღვარისთვის ბოლიშის მიხიდა. გაცოლებული ვიყო, მაგრამ მაინც ხელი ჩამოვართვი და მავლოცევ წუთიც არ გასულა რომ ისევ მომტყუა...“

ამ, ასეთი იყო „რეალი“ ძველად. სანტიაგო ბერნაბეუს პრეზიდენტობისას (1978 წლამდე) გუნდი თექვსმეტჯერ გაჩდა ესანქონის ჩემპიონი, ექვსჯერ ქვეშის თასი მოიპოვა,



საუკენის გატრის „რეალი“ - „აინტრაქტის“ პრომერას და ბილეთი



ივან ეგრელი ფერებ პაშაში



„მაზეთ-მაზე“ სანტიაგო პერუაში

„ოქტოს ბიზუნ“ რეალი „რეალის“ გარვა ჩამაიორისა თასს ზეიმობს

REUTERS



ექცევერ ჩემპიონთა და ერთხელაც საკონტინენტო შორის თასს დაეპატრონა. აღფრული დი სტეფანი კა 49 გოლით დღემდე ჩემპიონთა თასის საუკითხეს ბიმბარდირად რჩება... ფანტასტიკური შედევები!

თითქოს სიმბოლურია: საუკუნის მიწურულს, ბოლო სამ წელიწადში „რეალი“ კიდევ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა. შარმადელის არ იყოს ლიგის საგაზაფხულო ეტაპს „მეცუები“ ჭულადაუკარგავად ხვდებან და ამაში გასაკვირი არაფერია. „მანესტერ იუნაიტედთან“ ერთად „რეალი“ წლეულსაც ევროსასის მოგების კველაზე სავარულო განდიდატია. მწვრთნელები აღნიშნავენ, რომ ეს ორი გუნდი სხვებს სკობია არა მარტი ჭულებით, არამედ თამაშის ხარისხითაც. მატრიცაში 1:4 წევების შედევებ „ანდერლეხტის“ დამრიგებულმა ემე ანტუ-

## საიუბილეო გოლები

2000 წლის 25 ოქტომბერს, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე, „რეალ“ — „სპორტინგის“ მატჩის /4:0/ მე-12 წუთზე მაგრიდელმა გულტიშ ანგარიში გახსნა. ეს „რეალის“ მეტრ ჩემპიონთა თასზე გატანილი მე-500 გოლი იყო, რაც ევროპის რეკორდია.

- 1 — მიგელ მუნიორი
- 1955 წლის 8 სექტემბერს — „სერვეტ“ — „რეალის“ მატჩში.
- 100 — აღფრული დი სტეფანი
- 1960 წლის 21 აპრილს — „რეალ“ — „პარისელონას“ გატჩში.
- 200 — ფრენკ პუშკაში
- 1965 წლის 22 სექტემბერს — „რეალ“ — „ფეინენორდის“ მატჩში.
- 300 — ჰენრი ინსენი
- 1978 წლის 27 სექტემბერს — „პროგრეს“ — „რეალის“ მატჩში.
- 400 — სებასტიან ლოსადა
- 1990 წლის 7 ნოემბერს — „ტიროლ“ — „რეალის“ მატჩში.
- 500 — ხოსე მარია გულტიერესი „ბუტი“
- 2000 წლის 25 ოქტომბერს — „რეალ“ — „სპორტინგის“ მატჩში.



2000 წლის 24 მაისს პარიზში „რეალი“ ჩამოატაროს თასი მარვად მოიგო

ნება თქვა: „რა უნდა გვექნა? თავს ზემოთ ძლია არაა. „რეალი“ ჩინებულ ფორმაშია. არც დიდებული შემსრულებლები აკლია და გუნდურადაც უზადლი თამაშობს, რასაც, მაგალითად, ვერ ვიტყვი „ლაციოზე“. იქ კველა თავისთვისაა“.

ასეა, „რეალის“ გუნდურობას უწონებდნენ წინათაც და უქებენ ახლაც — ტრადიცია ბევრს ნიშავს.

ბოლო დროს, „მეუმებმა“ ფინანსური რეკორდების მოხსნაც დაიწყეს. შარშან ნიკოლა ანელკაში 35 მილიონი დღოლარი გადაი-

ხადეს. ამით, ფრანგი კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ლეგიონერი გახდა. წლეულს ხის საერთოდ გადაირიცხნ — 56 მილიონი ლუაშ ფიგურა! ასეთი ყორმადრიდელთა ახალი პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის პირველი ნაბიჯი. პორტუგალიელი მსოფლიოს უძვირეს ფეხბურთელად იქცა.

ფიზურ გუნდს კარგად შეეწყო. შემოღომაზე მირითადში დაბრუნდა მაკმანამინი, ათავაშდა რაული, ტრავმა, მოიშუშა მორიუნტესმა, რობერტო კარლის კი თითქმის ყველა მატჩში გოლო გააქვს.

„რეალი“ არც ტრადიციულ შედეგიანობას დალატობს. დიგის პირველ ეტაზზე 15 გოლი გაიტანა, მეორეზე კი უკვე — 6, რაც, საშუალოდ 2,6 ბურთია მატჩში. და ეს ჩემპიონთა ლიგაში...

ესპანეთის პირველადივიზიონშიც რომ პირველები არიან...

არა, ნადვილად შეეფერებათ სიტყვები, რომლითაც მოსე ზონელი „ამირანდარევენიანის“ ყოველ კარს იწყებს: ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნდი უკუნისამდე! ადიძნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენი...



# თჰვ. ეს არ გვეხვდა!

ზიდანი თუ ფიფა – ამათგან ერთხ წლეულს საუკეთესოს გვირცვინი უნდა დაედგა. ჩინებული სეზონი ჩაატარეს ანრიმ, შეგჩენებომ, რაულმა, მაგრამ ეს თრია მაინც გამორჩეული იყვნენ. საკითხავი იხდა იყო, ვინ აჯობებდა. ბოლოს კი იხე გამოვიდა, რომ თრია გირგელები გახდნენ. სადღაც გამჭრალიყო ის ერთხულობა, რომელიც სხვადასხვა გამოკითხებები შეარჩა და შარშანწინ იმავე ზიდანის არჩევისას სუფევდა. წლეულს ტახტი თითქოს გაიყო და კარგი რომ თქვას, სამართლიანადაც.

REUTERS



## სოლომონ გულისაშვილი

ვიზაპ ზიდანი მეორედ დაასახელა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად. პირველად 1998-ში, როცა გაფრანგებული ალექს რელის დიდი მალისხმევით „სამეცნიერო ბამა“ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგენ. წლეულს, 11 დეკემბერს ზიზუ ბრაზილიელ რონალდოს გაუტოლდა, რომელსაც ეს პატივი ასვე ირგვარ რევება.

გამოკითხვაში ეროვნულ ნაკრებთა 150 მწვრთნელი მონაციონერმდე ზიდანს ხმა 92-მა მისცა და 370 ქულა დაუგროვდა. მეორეზე 329 ქულით ფიფა გავიდა, მესამეზე ბრაზილიელი რიგალდო — 263.

სულ, მწვრთნელებმა 41 ფეხბურთელი და-ასახელეს. მნელი სათქმელია, რომელი მწვრთნელი რა კრიტერიუმით იჩივს საუკეთესოების ვიდაც, აღაათ, ზოგადი შთაბეჭდილებით, სხვა საკუთარ ნაკრებთან ნათო-მაშევი ეფექტით, ზოგი იმის მიხედვით, თუ იდემი მის გუნდს რომელი უფრო გამოადგინდა. ზოგიც, უბრალოდ თავისუფალი მხატვრის პრინციპით მოქმედებს და ერთობ ეზოტიკურ ნომინანტებს ასახელებს. აი, მაგალითად, კოსტა რიკის ნაკრების თავაცმა უილსონ ნუნეშ სიკრამ მსოფლიოს სამ საუკეთესო ფეხბურთელიდ ასვე ქვეშნის წარმომადგენლები, კანჩიპე, მედურდი და სოტო დაასახელა...


პისტისაბჭოთა რუსპულიკების მწვრთნელები ისევ ძველ თანამემამულეებს სწალობები — თურქმენეთის, მოლდოვის, რუსეთისა და უზბეკეთის ნაკრებთა დამრიგებლებმა საუკეთესოდ უკრაინელი ანდრე შეგენენკო დაასახელეს. თავად უკრაინელმა ვალერი რიბაროვსკიმ კაცებლას ფიფა არჩია.

გამარჯვებულის ვინაობა გამოიცნეს საქართველოს ნაკრების თავაცებებმა. დავით ყოფანისა და რევაზ მოზამელის სამუშაო ასეთი გახლდათ: ზიდანი, რივალდო, ტოლიდო.

ზიდანი თუ ფიფა? ამ კითხვის ერთგვარი პასუხი ევრო 2000-ის ნახევარფინალის უნდა გაეცა. ცხადია, ერთი თამაშით, ან თუნდაც რამდენიმეთი ჭეშმარიტების დადგენა როულია, მაგრამ საფრანგეთი პორტუგალიის მა-

## ვიზას დაურეატები 1991 — 2000

- 1991 ლოთარ მათეუსი (გერმანია, ინტერი)
- 1992 მარკ ვან ბასტენი (ჰოლანდია, მილანი)
- 1993 რობერტო ბაჯო (იტალია, იუვენტუსი)
- 1994 რომარიო (ბრაზილია, ბარსელონა)
- 1995 უორუ ვეა (ლიბერია, მილანი)
- 1996 რონალდო (ბრაზილია, ბარსელონა)
- 1997 რონალდო (ბრაზილია, ინტერი)
- 1998 ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, იუვენტუსი)
- 1999 რივალდო (ბრაზილია, ბარსელონა)
- 2000 ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, იუვენტუსი)



ტჩი რომ უპირველესად ამ ორეულის დაუღუდად და დიდ გამოცდად იქცეოდა, ეს ვე არავის ეპარებოდა. ეს იყო ტურნირის ორი ყველაზე ჭევანი ფეხბურთოლის, ორი საუკეთესო გამოთამაშებლის ფარული ომი.

„რომელი სჯობს?“ — პიოტერს მაშინ როგორ დემონს, „უცნაური კითხვაა — მიუკო ფრანგთა მწერთნებლმა — ისინი უდიდესი ფეხბურთელები არიან. ხალხი სწორედ ასეთების საცერტილად დაიღის სტადიონზე მაგრამ სრულყოფილად რომ წარმოჩნდეს ნიჭს შესაბამისი ვარემუც სჭირდება.“

28 ივნისს ბრიტანელის „მეუკე ბოლუენის“ მინდორი ზიდანის ფუნქციისთვის უფრო მორგებული ტილო გამოდგა. ადვილად შემჩნევილთ ისტატი განსაკუთრებულად აღმაფრინით მუშაობდა: თავისუფლად, გაბეჭულად, როგორც უნდოდა, ისე ატეჭუბდა რძას მეტოქეს, ფანტასტიკურად ცვლილა შეტევის მძმინდულებას, პარტიორებისანც ხალისით ურთიერთობდა და ზმირად თავისივე დაწებულ კომბინაციას თავადვე ასრულებდა. უფრო შეტიც ნამდვილი რაინდვით

მოიქცა, როცა მეორე დამატებით ტაიმში, კარგ პოზიციაში მყოფმა ბურთი განგებ გადაღვით მოედნის გარეთ. ცენტრში ახლოს ტეკვლისგან მგორავი პორტუგალიელი დაინახა და...

მერე ამისთვის დასაჩიქრდა კიდევ დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სწორედ ზადანის პერალტით მოიგეს ფრანგებმა. ფიგურავის პარტიას ასრულებდა. რამდენჯერმე ფრანგთა დაცუ ჩვეული ფინტებით დააწიოვა და გამოზომდლი პასებიც არიგა, მგრამ მის მიექცევაში რაღაც შებოჭილობა მაინც იგრძნობოდა. ლემერი მათალს ამბობდა: ფიგურს პარტნიორებმა ჯეროვნად ვერ აუცილებელი მსარი და ისიც მარტოსელი ბელადივით თითქოს თავიდანვე განწირებულ ჩანდა. ფიგურ არაერთხელ აირო თამაში საკუთარ თავზე, თუმცა, ხეირიანი არაფერი გამოუვიდა. მერე, როცა სლოვაკება თანამსაჯება შერჩეულ პორტუგალიელთა კარში პენალტი დანიშნა, მომზებრი უსამართლობად მიიღო, ვეღარ მოითმინა და დანებდა — შეიძნიმრიანი ლალისფერი მაისურა ნერვი-

ულად წაიძრო და მინდვრიდან ნაადრევად გავიდა. არადა: „ფიგუს დარი ფეხბურთელი ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა — ამბობს „ნიუკასლის“ მერჯერი ბობი რობსონი, რომელსაც ფიგურსთან 90-იანი წლების დასაწყისში, ლისაბონის „სპორტინგში“ უმუშევია — მას უბადო ტექნიკა და მოედნის არაჩვეულებრივი ხელვა გამოარჩევს. არც შავ სამუშაოს გაუზისის. მთავარი კი ისაა, რომ ლუაშში ჩინებულადა შერწყმული ლიდერის თვისებები და გუნდისთვის თამაშის უნარი. მოედნის გარეთაც წესიერი და ღირეული ადამიანია“.

ზაფხულში, მსოფლიოში ყველაზე ძირიად, 56 მდინარის დღიულარად „ბარსელონადან“, „რუალში“ ხმაურიანი გადასცელდა ფიგურს გამორჩეულობას ადასტურებს.

ზიზუა თითქოს გაწონას სწორებული კაცია, მაგრამ ამ შემოღომაზე უხეშობას უძარტა და თავისა „იუვენტუსა“ რამდენჯერმე დააღალატა. „იუვე“ ჩემპიონთა ლიგის პირველივე ჯეულური ეტაპიდნ გავარდა და არც შემაურ პარველობაზე ბრწყინვას: „ვერაფერს გეტრევით, ბელო დროს ზიდანი მართლაც უცნაურად იქცევა. არადა, საერთოდ კორუქტული ფეხბურთელია — თქვა ტურინელთა მწვრთნელმა კარლო აჩელოტიმ „პამბერგთან“ შინ წაგების შემდეგ როცა ზიდანმა ცცველ კინცს გვარიანი თავური უთავაზა და გააძევეს. მერე ისიც გაიხსნეს, იმავე პორტუგალიელთამ მატჩში როგორ ჩარტულ ერთ მოწინააღმდევეს იდაყვა ეს პაზიდი კარგა ვერავინ დანართა, მხოლოდ ახლო სატელევიზიო გამეორებამ ამბილ გმირი-ანტიგმირა. ისიც არ დაგავიწყედეს, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევრი ზიზუა გაძევების გამო გამოტოვა...“

მეორეს მხრივ ზიდანი ყველაფერში ელუაგანტურია: სარბილში, დარტებაში, მოტუუებაში. მაშინაც კი, როცა ბურთს ზომაზე მეტხანს ათრევს. ყოველ გადაცემა გოლის გასატანადა მიმართული და რა მასი ბრალია, თუ ზოგჯერ პარტნიორები დროულად ვერ უხვდებინ ჩანაფიქრს.

და მაინც, ეტყობა იმიტომ გაიმარჯვა, რომ ზიდანა. ევროპის ჩემპიონატის მოგებამ კი ფიგუსთან კიდევ ერთი უპირატესობა მისცა. როცა ფიფას პრიზი გადასცეს, ზიზუ მოერძალებულად ლაპარაკობდა: ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. უფრო კი იმიტომ, რომ ისეთ ფეხბურთელებს მამკობნეს, რივალდო და ფიგურ რომ არაიან. გაფრანგებულ ალექს-რელს ცხოვრების თავისი წესია აქცეს...

**ეპო 2000. დრამატულ გეოთხელფინალში ზიზუ და საფრანგეთმა ესანერთის სიმატიურ ნაკრებ აკობას**











# საუკუნის საკითხი

## ირაკლი გამურალიძე

მრთი ქველი ფოტო და ზედ  
მოლად შიშვლი დიეგო მარა-  
დონა აღიყენდოლი. საშვამში გა-  
დაუდიათ. პელეს რაღაც ოქრა-  
ცია გაუკეთებია, ჩემგან არავინ  
დაუეხმდიმდე სო. მარადონა  
ორვერ დაუჭერას კიანზე. პე-  
ლეს ოდესლაც ჰომისექსუალუ-  
რი კავშირი ჰქინია...

ამ და სხვა ათასმა საკითხმა  
წამოიწია წინა პლანზე, როცა გა-

### მეცე შეუველია

მოცხადდა, რომ სამყროს საუ-  
კინის ფეხბურთელისთვის პრიზი  
უდა გადაუცათ. სანტიურნეტო გა-  
მოკითხვა მარადონამ მოიგო, ფი-  
ფუს რჩეული პელე გაჩდა.

ისე რომ, დიდ მოთამაშეთა ბი-  
ოგრაფიების საჩითორი (თუ ვი-  
თომ) ეპიზოდების გამოკვლევა

გახურდა, საკირველი სულაც არ  
არის.

მეცე ხომ შიშვლია.

მეცები შეშვლები და ამიტომ  
სასაცილონი გახლავნ.

და საერთოდ, სასაცილოა ოც-  
დამეტოთ საუკუნის კირაბალს  
მეფის არჩევა. ამიტომაც ვერ აი-  
დებოდა.

რჩის. ორივე სამეფო კანდიდატს  
ხომ მალინ უნიტიდა რომ საუ-  
კუნის ფეხბურთელი დარქმეო-  
და.

ესც სასაცილო იყო, იმიტომ  
რომ ტელევიზიონი რომ ადრე გა-  
მოვგონა და ადამიანის სიცო-  
ცხლის საშუალო ხანგრძლივო-  
ბა ას წელიწადი მაიც იყოს,  
მეფის სხვა კანდიდატიც გაჩ-  
დებოდა.

### დრო

პელემ თამაშს თავი დაანება და ერთ წვიმიან საღამოს ისტ  
რუტერფორდში. მდებარე „ჯაანთსის“ სტადიონი შემოირბინა  
„LOVE, LOVE“-ს ძახილით, სწორედ იმ წელიწადს მარადონა  
პირველად გამოჩნდა არგენტინის ნაკრებში.

განვებას რომ ენება და მათ რომ ერთ დროს ეთამაშათ, „მეცეის“  
არჩევა უფრო გაითლდებოდა. ინტერნეტის ბავშვების სათამაშოდ  
არ მონათლავდნენ და სან პაულუს შტატის პირველობა და სან-  
ტიოსის საგასტროლო თამაშები ევროპულ შეჯიბრებებს არ გაუ-  
ტოლდებოდა.

მარადონას ეპოქაში ფეხბურთელებს ჯენტლმენობისთვის აჯილ-  
დოებდნენ, პელეს ეპოქაში ჯენტლმენობა წესი იყო. ასე იცვლებო-  
და მსოფლიო და ფეხბურთი, მიდი და არ კვით.

ორმტცი წლის წიაათ ფეხბურთის ჯადოქრები ქმნიდნენ. ახლა  
მას უბრალოდ გმირები ქმნინ. პელეს დროს წელიწადში როასი  
ათასი დოლარი ზღაპრული თანხა იყო. ახლა ამ ფულს აღნე  
ბოკში ერთ კიორაში იღებდნ.


პელეს რომ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გოლები  
გაპქინდა, ამას ხალხი რადიოში ისმენდა. ახლა „სქაის“ ტელეგარეზე  
შეგიძლია დაუსრულებლად გამოეროს საინტერესო ეპიზოდი, გა-  
დიდ და დააპატირავო კადრი ისე, რომ სავარისლიდან არ წამოდგე-


არცეულ უფრო როიგეს და არცეუ-

ვინც მარადონას ცეკვაში გაიხარდა, ის მარადონას მხარესაა.

ვისაც პელე უნახავს და სიყმაწვილიდანვე შეჰვერებია, პელე  
ურჩევნა.

ერთიანის ბოლოს პალე (ერცხელი) ნიუ იორკის  
„კოსმოსი“ თამაშობა





დოკო სარალონა მეორობისა დოლობა დიდი  
მოლენით ჩატაშა

## ღირსება

ფეხბურთის თამაშში გენიალურობის გამოჩენის გარდა, ღირსების საკითხიც წამოიჭრება ხილმე.

პელე ღირსებული მოქალაქეა. მარადონა მნელად რომ ჩაითვალოს მოქალაქედ წესიერებაზე მოლაპარაკე მოქალაქეებს მარადონას ღიაცი კი აღიზანებთ.

საიდუმლო ერთია: პელე ნაღდი ბურუჟა გახდა, მარადონა კი ესცნებოდა მილიონერად რჩება. პელე გამოშორდა პატარა ქალაქ ბაურუს, მარადონამ ვკრ დამო გარუბნელი ბიჭის ცხოვრება. ორმაციასა ის კვლავ ბიჭის კველაზე უკემვონ ლათინური ერის ბიჭი მემაცხენე, ხალხური ატრიბუტიკო შეჭრვილი, მხიარული, ეშვა, ნიჭიერად მოქმედი.

სამოცი წლის პელეც ბიჭია, როლონდ სულ სხვაგვარი: იერით კვლავაც გამოხატავს სამოციანი წლების სპორტულ სულს, თბას იღებავს, არცთუ ნიჭიერად ლაპარაკის, მაგრამ მოხერხებული, საზრინი და მდიდრი კაცია. მარადონისგან განსხვავდით ორივე მაჯაზე სასოფლო არ უკეთა. უკეთა ერთი, ცაცაზე, ორივეს თავისი ღირსება აქვს, მაგრამ კარინდამჭერი მოქალაქე პელე გახდავთ.

მარადონა ცხოვრების მორევთან შებრძოლი კაცია. პელე მორევს ჩაყოლილი და იქნებან მოხერხებით აძრევინიული.

ერთი მაწარწალა ფეხბურთელის ვაჟა, მეორე — მუშაკაციასა, ღატაკები მტკიცნეულად შეაბიჯებენ ხილმე სასახლეში.

პელემ ეს უმტკიცნეულოდ მოახერხა.

აირჩიოთ პელე?

## პრინციპი

რა პრინციპით იჩინებენ საუკეთესოს?

სისულელება რომ მათ მოვიტული თასებით, გატანილი გოლებით და ასეთი რამეებით ამოიჩინებენ ხილმე. ასეთი რამ უფრო სეზონის გმირების ასარჩევად გამოიგდება.

ქრისტიან ზაგრა, არტურ ფრიდენბაიხმა ფეხბურთის ისტორიაში კველაზე მეტი გოლი გაიტანა. ვის ახსეულ დღეს ფრიდენბაიხი? დადიე დეშამპს კველა დაიდი ტიტული მოუგაა. რატომ არ გავიხსენიოთ?

იოან კრუისმა და ფრანც ბეკენბაუერმა ფეხბურთი შეცვალეს. კი, მწვრთნელთა დაბამრებით, მაგრამ არ იქნებოდა კრუისი და ტოტალური ფეხბურთი მოსაწყვენი სანახაობა შეიქნებოდა. არ იქნებოდა ბეკენბაუერი და არ იქნებოდა ლიბერი, საყრდენი ნახევარმცველი და ასეთი რამეები. თუ იქნებოდა და მნელად საყურებელი, ორივემ მაგალითი დატოვა. მათი კვალი არანაკლებ ღირსა ვიდრე პელესა და მარადონას. ოღონდ ეს სხვა კვალია — კვალის სიღრმეს არ განაპირობებს საუკუნის მეფიბას.

აյ მთავრი ისაა, რომ სამხრეთმერიკული ინდივიდუალისა მაიც სხვა. პელე და მარადონა სხვა საუკუნია. მარადონას კარიერეა ინგლისითნ გოლით დასრულდა, კრუისის გარღვევა გერმანიასთან — ჰენალტით. აა, საფეხურთა სხვაობის ერთ-ერთი სიმბოლო.

საშესრული ამერიკა იმგვარ საქაშს უძლებს ვარსკვლავს, რომ არჩევისას თუნდაც თანასწორ ეგრიაპელს მაიც იქური გადაწინის ვთქათ, პელე აჩერებს ბურთს და ბობი ჩარლტონიც აჩერებს ბურთს. ვის იჩინები? პირდაპირ, მექანიკურად, იმაზე ფიქრის გარეშე, რომ ეს ედსონია, ის კი ბობი?

და მანც რა პრინციპით იჩინებ საუკეთესოს?

სავჭოა, რომ აქ ვინგე რამეს ადარებდეს ერთმანეთს. თუ ადარებს და ზოგად რამებს. პელემ შემოვლით ჩებპირნატის რო ფიალში ითამაშა, სამი გოლი გაიტანა და ორჯერვე ჩემპიონი გახდა. მარადონამ ასევე ორ ფიალში ითამაშა, ოღონდ ერთი წააგო და გოლიც არ გაუტანა.

თვლა მნიშვნელოვანი რამა ფეხბურთში, მაგრამ თვლა საუკეთესოს ვერ ავლენს ხილმე. ხალხის გულებში საუკეთესოს, თორემ ცხრილში დაითვლილი ჩემბა და არა ნათამაშვევი.

